№ 239. 27 ნოემბერი, კვირა. 1866—1883 27 ნოემბერი, კვირა. № 239.

რედაქცია

სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

მთელის წლისა . . 9 მან. ‖ სამის თვისა. . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. ‖ ერთის თვისა. . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

მიიღება ხელის-მოწერა

მომავალ 1884 წლისათვის გაზეთს

## დროებაზედ

(წელიწადი მეცხრამეტე)

თბილისში, «დროების» რედაქციის კანტორაში, სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირ ელი კლასიკური გიმნაზიის უკან.

თელავში, ვანო როსტომაშვილთან.

ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

ბათუმში, წერა-კითხვის სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.

გორში, საზოგადოების დეპოში, ალალო თუთაევთან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба».*

ფასი ხელის-მოწერისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| წლით (12 თვით) | — — 9 მან. | 6 თვით | — — 5 მან. |
| 11 თვით | — — 8 მ. და 50 კ. | 5 თვით | — — 4 მ. და 50 კ. |
| 10 თვით | — — 8 მან. | 4 თვით | — — 4 მან. |
| 9 თვით | — — 7 მ. და 50 კ. | 3 თვით | — — 3 მან. |
| 8 თვით | — — 7 მან. | 2 თვით | — — 2 მან. |
| 7 თვით | — — 6 მან. | 1 თვით | — — 1 მან. |

სოფლის მასწავლებელთათვის წლით—7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან.

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

არწრუნის თეატრი.

კვირას, 27 ნოემბერს

ქართული დრამატიული დასისაგან

წარმოდგენილი იქნება

პირველად

**მამის წყევლა**

დრამა 1 მოქმედ., თხზ. ვერნერისა, ფრანცუზულიდამ გადმოთარგმნილი.

პირველად

**ელისო**

დრამატიული ეტიუდი ორს სურათად გადმოკეთებული ბ. მოჩხუბარიძის მოთხრობიდან ავტორის მიერ.

**დივერტისმენტი**

დასაწყისი 7½ საათზედ.

## ტელეგრამები

(ჩვენის კორესპონდენტისაგან).

25 ნოემბერს.

22 ნოემბერს გურიის ეპარქიის სამღვდელოებამ ექსარხოსის წინადადებით ორს საჭირო საგანზედ შემდეგი გადაწყვეტილება დაადგინა:

1) შესწიროს ქუთაისში დასაარსებელ სასულიერო სემინარიის თანხის შესადგენად ყოველ-წლივ ექვსის წლის განმავლობაში ნახევარი იმ ჯამაგირისა, რომელიც ეკუთვნის მთელის ეპარქიის სამღვდელოებას. 2) აუშენოს ახლად შეძენილს შენობას ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლისას მეორე სართული.

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

25 ნოემბერს.

პეტერბურგი. ხმებია, რომ სახელმწიფო რჩევამ გადასდო სხვა დროსთვის არზების მისაღები კომისიის გაუქმების განხილვა; ამასთანავე განზრახვა აქვსთ სახელმწიფო რჩევის წევრებისაგან შეადგინონ კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშავოს პროექტი შესახებ იმისა—თუ რა დაწესებულება დაარსონ ხსენებული კომისიის მაგივრად.

ბრიუსელი. გუშინ დეპუტატთა პალატაში, სხდომის დროს, ცეცხლი გაჩნდა. პალატის შენობა მთლად დაიწვა; სარწმუნოებათა და შინაურ საქმეთა სამინისტრონი, რომელნიც ამავე შენობაში იმყოფებოდენ, ცოტათი დაზიანდენ. სენატის გადაარჩინეს; რამდენიმე ცეცხლი მქრობელი გაცი დამახინჯდა და რამდენიმე სალდათიც მოკვდა.

პარიჟი. დატუსაღებულ ანარხისტებში ურევია ერთი ყმაწვილი, რომელსაც სათვეთქებელი მასალები უპოვეს.

პეტერბურგი. დღეს ოლქის სასამართლომ მეორედ გაარჩია ოსტროვლევის და ხუდინის საქმე, რომელთაც ბრალდება გაცარცვა ცალადობის ხმარებით. ოსტროვლევისა გამართლდა და ხუდინს კი გადაუწყვიტეს საკუთართა ღირსებათა ჩამორთმევა და სამის წლით ტუსაღების როტაში გაგზავნა. ოსტროვლევისას იცავდენ სპასოვიჩი და უტინი.

პარიჟი. კედლებზე გაუკრავთ ქაღალდები, რომლებითაც მუშა ხალხს იწვევენ, რათა დაესწრნენ პარასკევს ანარხიულს ყრილობაზე, რომელიც ბირჟის მოედანზე იქნება. რამდენიმე პირი, რომელთაც ამ ქაღალდებზედ ხელი უწერიათ, დაატუსაღეს.

კონსტანტინოპოლე. გუშინ თათრების და ებრაელთა უბანში და ხასკოიში რამდენიმე სახლი გადიწვა სულ ერთიანად; ზარალი ძალიან დიდია.

გონკონგი. ჩინეთს არც უკან მიაქვს და არც უნდა შესცვალოს თვისნი მოთხოვნილებანი ტონკინის საქმის შესახებ.

## იაფი და ადვილი წამალი უმეცრებისა

თბილისი, 26 ნოემბერი.

მოგეხსენებათ კარგად, რომ ჩვენს ქვეყანაში სამუდამო სკოლა—რთული, ძნელი და ძვირფასი დაწესებულებაა. ამ გვარ დაწესებულებათათვის ჩვენ, ქართველები, ჯერეთ საკმაოდ არა ვართ მომზადებულნი არც გონებით, არც ჯიბით და არც მხნეობით. ამიტომაც ჩვენში სამუდამო სკოლის გამართვა ისეთი ძვირი მოვლენაა.

## «დროების» ფელეტონი, 27 ნოემბ.

### კვირის საუბარი.

მხიარულად ყოფნა გვმართებს.—ძმანი ჩინჩალაძენი.—ორნი არიან—ცოლნი არიან.—კიდევ მეცნიერი ექსპერტი.—პედაგოგიური კრება მეორე გიმნაზიაში.—ბისმარკი და ნესტარ-დარეჯანი.—რუსთაველი დიპლომატების გულთა-მხილავი.

კვირის მოსაუბრეები ახირებული ხალხია. კვირა ღმერთს დასასვენებლად გაუჩენია, დროს გასატარებლად, შესაქცევად; ფელეტონსაც და მეტადრე კვირის ფელეტონს მხიარულების ძალი უნდა აჯდეს და მწარე ფიქრებს არ ულვიძებდეს ადამიანს; მეფელეტონეს იმდენი გამჭრიახობა უნდა ჰქონდეს, რომ ცხოვრების მატიანეში მარტო სასიამოვნო ამბები მონახოს და იმით შეაზავოს თავისი ფელეტონი; თორემ ერთი მეფელეტონე მოჰყოლია ჩივილს, ცუდი დრო შეგვექნა, საცა არ მიიხედავ, ყველა ცხვირ-ჩამოშვებული დადის, სახე მწუხარედ დაღმეჭიაო; მე დალოცვილო, იმიტომ ვაძლევ გაზეთში თითო შაურს და იმიტომ ვიწუხებ კითხვით თავს, რომ ცუდ დროზედ აღარა გავიგონო-რა, ცხვირიც მაღლა ავიღო და სახეც, მწუხარებით დაღმეჭვის მაგიერად, ვარდსავით მხიარულად გადამეშალოს. მეორე ფელეტონისტი შემოდგომის დარს უჩივის, ქარს გულის-მომწყვლელს ზუზუნსა სწამებს, მსუბუქ ღრუბლებს ტყვის სიმძიმეს და თავისივე მიზანტროპიით გატაცებული, ასე გასინჯეთ, ხანდისხან უხეირო ელეგიებსაც კი სთხზავს ლექსად მარტო თავის გასართობად. მე, სწორე გითხრათ, ამ გვარ ულმერთო ფელეტონისტების დასს არ ვეკუთვნი. მე ღმერთმა მაშოროს მკითხველისათვის ცუდის მონდომა და, მადლობის მაგივრად—რომ ჩემს ნაბლაჯნს იგი კითხვას ღირსებს, უმადურად მოქცევა, ცუდს გუნებაზედ დაყენება. ჩემი ხელობა მხიარულებაა, მხიარული ამბების მოგროვება და სამწუხარო ამბებისაც კი მხიარულად გადაცემა. მკითხველსაც ეს უფრო ესიამოვნება და მეც. ან რა გვაქვს, თუ ღმერთი გწამთ, სამწუხარო? პური და ღვინო ბევრი მოვიდა, სხვა ლხინისათვის საჭირო ხორაგი უხვათა გვაქვს; როგორც კუჭისათვის, ისე სულისათვისაცა ვზრუნავთ, ქუთაისში სემინარიის დაარსებას ვაპირებთ, თბილისში მესამე გიმნაზიისას, შორაპანში სასულიერო გაზეთი გამოდის, მალე პედაგოგიურს ჟურნალსაც ვეღირსებით, სოფლებში სკოლები გვეხსნება, მზრუნველები ბევრი გვყავს და გულის-შემატკივარნი. მაშ ქუდი ჰერსა ვკრათ და ლხინში დავივიწყოთ, თუ კი გულში რამ ხინჯი გვაქვს და უსიამოვნო ღრუბელი სახეზედ გვეფარება.

***

ჟურნალ-გაზეთები საზოგადოების წინ-წამყენებელნი არიანო,—ასე ამბობენ და ჩვენც უნდა დავიჯეროთ. თუკი ასეა, როგორ არ უნდა ვინუგეშოთ, რომ როგორც ჟურნალ-გაზეთებს, ისე ყოველს დასტამბულ სიტყვას ფართო გზა ეძლევა ჩვენში. წელანაცა ვთქვი და ჩემს უთქმელათაც იცით, რომ შორაპანში ეხლა რედაქციაა გამართული; მეორე რედაქცია მალე ჩინჩალაძიანთ სოფელს პინოთშიაც გაიმართება. ხუმრობა კი ნუ გეგონებათ: ამ დღეებში ჩვენს რედაქციას მოუვიდა დასტამბული პირობა ოთხთა ძმათა სარდიონ, ბეგენა, ბენედიკტე და პლეოპა ნიკოლოოზის-ძეთა ჩინჩალაძეთა, «მასზედ რომელ» მოსპობილ იქმნას უბრალო ხარჯი, ქელეხი, ასაბია, ზარი და სხვ. ბბ. ჩინჩალაძეები გვთხოვენ მათი პირობა საზოგადოდ გამოვაცხადოთ, და ეგება ჩვენი მიმბაძავნი გამოჩნდეს ვინმეო. მაშ ვიწვევთ მსურველთ და ვურჩევთ კიდეც რომ ბბ. ჩინჩალაძეების მაგალითს მიმართონ და თავიანთ «მიცვალებულის სულის შესანდობლად ისე გაისარჯონ, რო-

იმ ქვეყნებში, რომელნიც ჩვენსავით ხელმოკლენი არიან, უმეცრების წამლად, სამუდამო სკოლის გარდა, გამოგონილია ერთი მეტად ადვილი და მეტად იაფი ღონისძიება. ჩვენ ვამბობთ საკვირაო სკოლებზედ.

თვითონ სახელი ამ სკოლისა აჩვენებს, რომ სწავლა მხოლოდ კვირაობით და უქმე დღეობით იმართება. საკვირაო სკოლები იხსნება იმ მოზდილ ყრმათათვის, რომელთაც სამუდამო სკოლა არ ღირსებიათ და დიდებისათვის, რომელთაც სწავლის წადილს მოკლებულნი არ არიან. ამ სკოლებში დაიარებიან როგორც მამრობითი სქესის პირნი, ისე მდედრობითისა. სწავლა იმართება სამუდამო სკოლების კლასებში, რომელსაც ამ სკოლის მთავრობა ყოველთვის დიდის სიამოვნებით უთმობს, რადგანაც კვირა-უქმით საკლასო ოთახები ცარიელები არიან. სწავლას საკვირაო სკოლებში კისრულობენ მასწავლებლები და სხვა განათლებულნი პირნი, რომელთაც ემარჯვებათ გაკვეთილების მიცემა. კურსი ამ სკოლებისა მარტივია. ასწავლიან მხოლოდ წერა-კითხვასა, პირველს დაწყებითს ანგარიშსა და საღმთო ისტორიასა. რადგანაც საკვირაო სკოლებში მოსიარულენი მომზადებით სხვა-და-სხვა ხარისხზედ დგანან, ამიტომ ყოველი საკვირაო სკოლა იყოფება რამდენსამე კლასად. ზოგს საკვირაო სკოლაში ათამდის კლასი იმართება.

ღარიბი საზოგადოებისათვის საკვირაო სკოლა ძლიერ მოხერხებული დაწესებულებაა. იგი ხარჯს თითქმის არასფერს არ ითხოვს. სახლს ყოველი მუდმივი სკოლის მთავრობა უფასოდ უთმობს და მასწავლებლებიც უფასოდ ასწავლიან; ხარჯს ითხოვს მხოლოდ ბიბლიოთეკის დაარსება საკვირაო სკოლასთან და სამოსწავლო ნივთების ყიდვა. სიიაფესთან ადვილიც არის და მისი წარმოება გაუჭირებლივ შეუძლიათ იმ გვარ პირთაც, რომელნიც სისტემატიურს შრომას და მხნეობას ნაკლებად არიან მიჩვეულნი. არც ერთს ნასწავლ პირს არ გაუძნელდება კვირაში ერთი საათი შესწიროს საკვირაო სკოლის გაკვეთილს. მოსწავლეთათვისაც ადვილია, რადგანაც ისინი სწავლის გამო მუშაობას ერთს საათსაც არა სცდებიან და ანდომებენ მას მხოლოდ თავისუფალს, უქმს დროსა.

მაგრამ რა ნაყოფი უნდა გამოიღოს სწავლამ, რომელიც იმართება მხოლოდ კვირა უქმით? გვკითხავენ ბევრნი. თუ სახეში ვიქონიებთ იმ გარემოებასა, რომ საკვირაო სკოლაში დადიან მოზდილნი პირნი, რომელთაც სწავლის სარგებლობა ესმით და გულით არიან მოწადინებულნი შეიძინონ იგი, თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ მასწავლებლები საკვირაო სკოლისა მოწაფეებს უნიშნავენ მთელი კვირის სავარჯიშოსა, რომელსაც იგინი ყოველ დღე თავისუფალს დროს ახმარებენ,—მაშინ ჩვენ უნაყოფო დაწესებულებად არ ჩავთვლით საკვირაო სკოლასა.

პრაქტიკამ უკვე დაამტკიცა, რომ საკვირაო სკოლა, თუმცა იაფი და ადვილი ღონის-ძიებაა, მაგრამ ამასთან ნაყოფიც თვალ-საჩინო მოაქვს. რუსეთშიაც არა ერთხელ გამოთქმულა ეჭვი შესახებ ამ გვარი სკოლის სარგებლობისა და ვარგისიანობისა. ეს ეჭვი დიდი ხანი მუშაობდა საზოგადოებაში, ვიდრე ხარკოვის საკვირაო სკოლის ნაყოფმა არ დაარღვია სრულიად. საკვირაო სკოლა ხარკოვში არსებობს აგერ თხუთმეტი წელიწადია და ისეთი აშკარა სარგებლობა მოაქვს ქალაქისათვის, რომ სამას-ოთხასობით ჰყავს მას მოწაფენი. განსვენებულმა გამოჩენილმა რუსის პედაგოგმა ბარონ კორფმა კარგად გაიცნო ნაყოფი ამ სკოლისა და მთელს რუსეთს აცნობა იმ განზრახვით, რომ სხვა ქალაქებშიაც აღმოჩენილიყვნენ ხარკოვის საკვირაო სკოლის მიმბაძავნი. კორფს გამოეცადნა მოწაფენი ხარკოვის სკოლისა, რომელთაც სამი წლიდგან ხუთს წლამდის ევლოთ სკოლაში, ისიც არა-გამუდმებით, არამედ ხამუშ-ხამუშ, და აღმოჩენილიყო, რომ ყოველს მათგანს მშვენივრად შეეთვისებინა წერა-კითხვა, არითმეტიკის ოთხი მოქმედება, საღმთო ისტორია მოკლე კატეხიზო და ჯეროვანი ახსნა ბუნების მოვლინებათა. ყველაზედ სასიამოვნო და საყურადღებო ის არის, ამბობს კორფი, რომ სკოლას მოწაფეებში აღუძრავს სიყვარული თვით-სწავლისა, ცოდნის შეძენისა და მათ ბიბლიოთეკიდგან ძალიან ხშირად მიაქვთ წიგნები, კითხულობენ და დღითი-დღე უფრო და უფრო აღორძინებენ თავის ცოდნას, უმატებენ განვითარებასაო.

მკითხველი ხედავს, რამდენად სასარგებლო იქნებოდა, რომ საკვირაო სკოლები ჩვენშიაც დაარსებულიყო. და რა უშლის? როგორც მოგახსენეთ, ეს საქმე არც დიდს ჯაფას თხოულობს და არც დიდს ხარჯსა. საჭიროა აქ მხოლოდ თაოსნობა და ცოტაოდენი თანაგრძნობა საზოგადო სიკეთისადმი... ყოველს ჩვენებურს ქალაქში მოიპოება ნასწავლთა დასი, რომელსაც არც ცოდნა აკლია და არც კეთილი მოსწრაფებანი. მოიყაროს ერთად თავი ამ დასმა ყოველს ქალაქში, მოილაპარაკოს ამ საქმის დაწყებაზედ და განხორციელებაზედ, ამოირჩიოს საქმის მმართველად, ანუ სკოლის ინსპექტორად რომელიმე განვითარებული და სწავლის ხელობაში გამოცდილი პირი, მიიწვიოს მასწავლებლად მომზადებულნი ვაჟნი, თუ ქალნი, რომელნიც თვითეულად მხოლოდ ერთს საათს კვირაში მოანდომებენ ამ საქმესა, მოაგროვოს რამდენიმე ასი მანეთი სკოლის ბიბლიოთეკის დაარსებისათვის და ზოგიერთა სამოსწავლო ნივთების მოპოებისათვის თუ ხელის მოწერით, თუ სპექტაკლების და სალიტერატურო საღამოების გამართვით, სთხოვოს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას იკისროს თავის თავზედა სკოლის გახსნა და იმისი მართვა, და საქმე გაკეთებული იქნება. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენში საკვირაო სკოლები იხეირებენ, დღეგრძელნი იქნებიან და ძლიერ დაეხმარებიან წერა-კითხვის და ცოდნის გავრცელებას ჩვენს ერში.

## შინაური ქრონიკა

ცოდვაა კაცმა სთქვას, რომ ჩვენშიაც არ იყვნენ იმისთანა «პედაგოგები», რომელნიც თავიანთ გამჭრიახის ჭკუით სხვა-და-სხვა საშუალებებს იგონებენ სასწავლებელში წესის დამყარებისათვის. აი, სხვათა შორის, რა ჩინებული საშუალება მოუგონია ბ. გაფრინდაშვილს, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორს, ბავშვების დასაშოშმინებლად. თურმე სამეცადინო ოთახები კორიდორს აქეთ-იქითა აქვს ჩამომწკრივებული და ამ ოთახებს წინ ცარცით (МѢЛЪ) დიდი საზღვარი გავლებული თვით ბ. გაფრინდაშვილის ბედნიერი ხელითვე; ასე რომ თვითეულ კლასს თავისი ადგილი აქვს და თამაშობის დროს სხვა კლასებში არ აირევა. ჭეშმარიტად, რომ მადლობის ღირსია ბ. გაფრინდაშვილი ამ გვარი საშუალების გამოგონებისათვის, რომელიც, თუმცა პირველის შეხედვით კოლუმბის კვერცხივით უბრალოა, მაგრამ რომლისათვისაც მისს გამომგონს დიდი ჭკუის გამჭრიახობა დასჭირდებოდა. აი კიდევ მაგალითი ბ. გაფრინდაშვილისაგან პედაგოგიურის ნიჭის გამოჩენისა. თუ რომელიმე კლასი, ან რამდენიმე ბავშვი რასმე დააშავებს, დამნაშავეები დაჰყავს თურმე კლასიდამ კლასში, ამხანაგებს წინ უყენებს და უბნება: «შეარცხვინეთ ესენი, მიაფურთხეთ, ამათ ესა და ეს დაუშავებიათ, აბრამიშვილი მღვდლის ბიბი დაუწყვეტიათ და სხვა-და-სხვა». ამ გვა-

გორც სასულიერო კანონი აჩვენებს». აგრეთვე მოიქცნენ ისე, როგორც ბბ. ჩინჩილაძეები ამბობენ: «ყველას ვუცხადებთ, თუ ქორწილებზე ვისმესთვის მაყრად საჭირო ვიქნებით და გვთხოვენ, შეიძლება პატივი ვსცეთ და ვიახლნეთ, მაგრამ უკეთუ მაყარი ხუთს კაცს აღემატება, მაშინ კი ჩვენგნით წასვლა არას გზით არ შეიძლება».

უკაცრავად, შევცდით, ჩინჩალაძეები ჩვენი საკბილონი არა ყოფილან; ჩვენ იმასა ვქადაგებთ, უნდა ვილხინოთ და ვისიამოვნოთო და ესენი კი გაიძახიან, თუ ხუთს კაცზედ მეტი შეიყრება, ჩვენ იქ ადგილი აღარ გვექმნებაო. დალოცვილებო, სულ «მიცვალებულის სულის შესანდობლად სად გაგსარჯოთ!» კერპით-თაყვანისმცემლობის დროს ჩვეულებათა მოსპობა კარგია, მაგრამ არც სვიმონ მესვეტეობა ვარგა.

⁂

ერთი მუხლია ბბ. ჩინჩალაძეების პირობაში, რომელიც მათ შორის უეჭველია ბევრს დავი-დარაბას გამოიწვევს. მე მოგახსენებთ იმ მუხლზედ, რომელიც ამბობს: ამას იქით ნურც ჩვენ დავითრობით ღვინით, ნურც სხვას დავათრობთ და ვინც ამ პირობას არ შეასრულებს, სხვა ძმების სასარგებლოდ ორასი მანათი ჯარიმა გადაიხადოსო. იმერლები ცოტა დავი-დარაბის მოყვარული ხალხია და იქნება მალე ვნახოთ რომ სამს ძმას ჩინჩალაძეს—სარდიონს, ზეგენას და ბენედიქტეს კლეოპას წინაალმდეგ პროცესი გაემართოთ, შენ ამა და ამ დროს დაითვერ და ორასი მანათი უნდა მოგვცეო. უეჭველია, კლეოპას დაზარდება ორასი მანათის გაღება და იტყვის,—კი არ დავითვერ, შევზარხოშდი, შევქეიფიანდიო. ამაზედ, მე ვიცი, ექსპერტები დასჭირდებათ ბბ. ჩინჩალაძეებს და ერთ რჩევას მივცემ, თუ კი დამიჯერებენ. თუმცა კაცის აგებულებისა და ყოველ-გვარ მოვლენის შესწავლა მის სხეულში ფიზიოლოგების საქმეა, მაგრამ თავიანთ პროცესში ჩინჩალაძეები მეცნიერს ექსპერტს ნურავის მიიწვევენ. როგორც მექუდე კაი ქუდს არ დაიხურავს, ხარაზი კაი წაღას არ ჩაიცვამს, ისე მეცნიერი ფიზიოლოგი დათრობისას ვერას გაიგებს. თუ მაგალითი გინდათ, აიღეთ თუნდა გეგელიების საქმე...

⁂

რამწამს გეგელიებს ვახსენებ, მაშინათვე ენაზე მომადგება «მენგრელიის უზენაესს სასამართლოს გადაცემა» და სხვ. და სხვ. და თვალ-წინ წარმომიდგება მეცნიერი ექსპერტი, რომელიც ცხვირზედ სათვალებ-ჩამოშვებული დოკუმენტებსა სინჯავს და ყოველი უბრალოდ ნათქვამი სიტყვა, ისეთი იეროგლიფი ჰგონია, რომელსაც აზრის შესავსებად ან წინ უნდა მოუჯდეს რამ, ან შემდეგ, თორემ უამისოდ სამეცნიერო გამოკვლევა გამოკვლევას არ ეგვანება. მკითხველო, ნუ შეგეშინდება, მე ექსპერტების ხელობას არ შევუდგები და არ გაგიმეორებ იმას რაც მღ. ჯანაშვილმა, იაკ. გოგებაშვილმა და თ. რაფ. ერისთავმა ისე ლამაზად განგიმარტეს. მე მხოლოდ ის მაკვირვებს და მინდა ჩემი გაკვირვება ჩემს მკითხველებსაც გავუზიარო,—რა ჰქნეს იმ გმირთა, რომელნიც თ. დიმიტრი თუმანიშვილის ფელტონებში იყვნენ დასახელებულნი. ასე საქვეყნოდ გამოაშკარავებულ კაცს საქვეყნოდვე ეჭირვება ჭუჭყის არეცხა და, როგორც ეტყობა, ბბ. ტერ-სტეფანოვი და აბელედიანი ისე კმაყოფილნი ყოფილან თავიანთ ბედისა, რომ თავიანთ სახელის ცუდად ხსენებაც კი არად მიიჩნიეს, თითო სტაქანი ცივი წყალი დალიეს და გაგზავნეს გლეხ-კაცები ეზოებში დოკუმენტებისათვის ფეხწამოსაკრავად. თუ ცივმა წყალმა არ არგო და გული არ გაუგრილა, მაშინ ხომ უეჭველად გამოგვებაასებიან ან ბეჭდვით, ან დიფამაციის პროცესს გაგვიმართავენ და ჩვენ ყოველს შემთხვევაში მოხარულნი ვიქნებით მათის ბჭყალების მჭრელობა განვიცადოთ.

⁂

რად იწვრთნებიან თურმე ყოველ-დღე შეგირდები და თუმცა ეს კლასებში მოგზაურობა ბავშვებს სწავლას უშლის და გულის-ყურს უცრუებს, მაგრამ მაინც მკითხველი დააფასებს იმ «ზნეობრივს გავლენას», რა გავლენაც ექნება ზ. გაფრინდაშვილისაგან მოგონილს მეთოდს შეგირდებზედ.

≈≈ დღეს ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი საკუთარის ტელეგრამიდამ სჩანს, რომ ქუთაისში სემინარიის დაარსების საქმე კარგად მიდის. გურიის ეპარქიის სამღვდელოებასაც თანაუგრძვნია ამ ჩინებულის საქმისათვის და ნახევარი თავის ჯამაგირისა ექვსის წლის განმავლობაში სემინარიის დაარსებისათვის შეუწირავს.

≈≈ ჩვენ შევიტყეთ, რომ მთავარს სამხედრო სამჯავროს გაუუქმებია კავკასიის ოლქის სამჯავროს განჩინება შტაბს-კაპიტან მიშჩენკოს შესახებ და უკან დაუბრუნებია ხსენებული სამჯავროსთვის ხელ-ახლად განსახილველად.

≈≈ ყველამ იცის, რომ ქუთაისში სემინარიის დაარსების საქმე დაიწყო პირველად ყოვლად-უსამღვდელოესმა იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა, რომლის იუბილეის გამო მამა გრიგოლ მაჭარაძე გვწერს: «იმედი მაქვს, რომ ამ ჩემს პატარა შენიშვნას ადგილი მიეცემა თქვენს პატივცემულს გაზეთში.

თქვენის გაზეთით შევიტყე, რომ ამ წლის დეკემბერში უსრულდება ოც-და-ხუთი წელიწადი ჩვენს ყოვლად-უსამღვდელოესს იმერეთის ეპისკოპოზს გაბრიელს, რაც ის ეპისკოპოზად არის იმერეთში. მე ამას წინად დავესწარი ქუთაისში მღვდლების კრებაზედ, სადაც თავმჯდომარეს ვთხოვე, რომ სამღვდელოთათვის გამოეცხადებინა, რომ ეს ოც-და-ხუთი წელიწადი ყოვლად-უსამღვდელოესის ღვაწლისა ღირსეულად გვედღესასწაულებინა, რომლისათვისაც საჭირო იყო დანიშვნა ყოველ საბლაღოჩინოდგან დეპუტატებისა. თავმჯდომარემ აღმითქვა, მაგრამ ახლა კი არ ვიცი, ჰხდება რაიმე განკარგულება თუ არა ამ საქმეზედ. დრო ახლოვდება და ზოგიერთ სასულიერო წოდებათაგანს ამაზე არაფერი შეუტყვია. ამიტომაც ვთხოვ ბ. თავმჯდომარეს, რომ თქვენივე გაზეთით ამ მოკლე ხანში ამის შესახებ ყოველივე დაწვრილებით შეგვატყობინოს. ამასთანავე კარგი იქმნება, თუ ისე, როგორც ამისთანა დიდი შრომა და ღვაწლი ღირსეულად ფასდება, ჩვენც მის შრომას დავაფასებთ და ოც-და-ხუთი წლის უმანკო სამსახურის და დაუცხრომელი მამულისათვის შრომის სახსოვრად ხელის-მოწერას გავმართავთ სასულიერო დასში. შეგროვილი ფულით დაენიშნება სტიპენდია რამოდენიმე ყმაწვილს მაღალ სასწავლებელში სწავლის შესასრულებლად.

«იმედია, რომ ამ საქმას მსურველნი პირნი ბევრნი აღმოჩნდებიან საერო დასშიაც, რადგანაც ყველამ კარგად იცის, თუ რა ღვაწლი და შრომა მიუძღვის ყოვლად-უსამღვდელოესს ჩვენის ქვეყნისათვის. რიგიანად რომ არ დავაფასოთ ჩვენ იმ ქართველთა მწყემს-მთავრის ღვაწლი, რომელსაც სხვა მხარეშიაც აფასებენ, მაშინ ჩვენის მხრით დიდი შეცდომილება და მიუხდომლობა გამოვა. ურიგო არ იქნება, რომ ამ საქმეს სხვა-და სხვა მხარეში და სოფლებში მოთავე აღმოუჩნდებოდეს და ხელის-მოწერას გამართავდენ».

## უცხოეთი

— ვენის ოფიციოზური გაზეთები დიდის სიამოვნებით ეგებებიან ბულგარიის საქმეების მშვიდობიანად დაბოლოვებას და იმედეულობენ, რომ რუსეთისა და ავსტრიას შუა ეხლა სრული თანხმობა დამყარდება.

— სოფიიდგან იწერებიან გაზეთებში, რომ პოლკოვნიკი კაულბარსი მეტის-მეტად კარგად და ზრდილობიანად იქცევა აქაო, და ბულგარელებიც თავის მხრივ პატივსა სცემენ და თავაზიანობას უწევენო. კაულბარსისთვის ხელმწიფე იმპერატორს უბძანებია—გარდაეცი ბულგარიის მმართებლობას, რომ რუსეთს არა ჰსურს ბულგარიის შინაურს საქმეებში გარევაო. ესევე უთქვამს იმპერატორს ბალაბანოვისთვისაც, როდესაც ეს უკანასკნელი პეტერბურგში იყო, და ამ ამბავს ძრიელ კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია სოფიის მმართებლობაზე და აღელვებული ბულგარიის ხალხიც დაუმშვიდებია.

— ფრანცუზულს გაზეთებში გამოანგარიშებულია ის, თუ რამდენი ჯარი ჰყავს საფრანგეთს ტონკინში დაბანდებული და რა ხარჯი მოუვა მოშველე ჯარის გადაყვანაზე და საომარი იარაღების გადატანაზე. ამ ანგარიშიდამ სჩანს, რომ საფრანგეთისა და ჩინეთის ომი დიდს სარგებლობას მისცემს სუეზის არხის საზოგადოებას, რადგანაც თითო ტრანსპორტის გემის წასვლა-მოსვლა საფრანგეთის რესპუბლიკას 600,000 ფრანკი უჯდება.

— ლორდს გრენვილს მიუწერია პარიჟში ინგლისის ელჩისთვის წერილი, რომელშიაც სთხოვს, რომ ურჩიოს მარკიზ ძენგის—ტყუილ-უბრალოდ ნუ არისხებენ საფრანგეთის მმართებლობას და თავი დაანებონ ბაკნინგის და სონ-ტოის გამაგრებასო. ხმებია აგრეთვე, რომ ლორდი გრენვილი და ჟულ-ფერი ერთმანეთს ნახავენო. საზოგადოდ ამ ბოლოს დროს პოლიტიკურს წრეებში ბევრს ლაპარაკობენ იმაზედ, რომ ინგლისი და საფრანგეთი ერთმანეთს ძლიერ დაუახლოვდენ. ხმებია აგრეთვე, რომ ინგლისი საფრანგეთსა და ჩინეთს შუა შუამავლობას კისრულობსო.

— ნაპოლეონ III-ის ნამინისტრალს ემილ ოლივიეს დაუბეჭდია ერთს ფრანცუზულს გაზეთში ფრიად შესანიშნავი წერილი, რომელსაც მეტად აულაპარაკებია ევროპიული ჟურნალ-გაზეთები და რომლის თარგმანიც ჩვენ აქ მოგვყავს.

«მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული—სწერს ოლივიე—რომ საფრანგეთს ბოლო არ მოეღება. თუმცა იბძვის ის, როგორც ავად-მყოფი, მაგრამ ეს ბრძოლა არ არის ბრძოლა მომაკვდავისა. მართალია, ბევრი უბედურება დაატყდა მას თავზე, მაგრამ მაინც კიდევ მაღლა სდგას ყველა ხალხზე და ისე ბრწყინავს მათ შორის, როგორც დილის ცისკარი. ის არის კეთილშობილი, დიდ-სულოვანი, დიდებული, განათლებული და ლიბერალური ხალხი! არა! ის არ დაიღუპება, იმიტომ რომ მასთან ერთად დაიღუპება ცივილიზაციაც.

«ათი წელიწადია, რაც მე 1870 წლის ომს ვიკვლევ და მზათა ვარ დავამტკიცო, რომ ჩვენი ჯარისთანა გმირული, კეთილშობილი ჯარი არც ერთს სახელმწიფოს არა ჰყავს; და თუ მაშინ დაიღუპა, დაიღუპა მხოლოდ მრავალთა უგვანთა და საძაგელთა შეცდომათაგან, და ეს შეცდომანი კვლავ აღარ განიმეორებიან!

«მე გირჩევთ, თქვენ მშვიდობიანობას მისდიოთ, მაგრამ ამასაც გეტყვით, რომ მშვიდობიანობის დაცვა ჩვენზედ არ არის დამოკიდებული. ჩვენ არაოდეს არ გვნდომებია პრუსიასთან ომი, მაგრამ იმან გაიწვია ბრძოლის ველზედ საფრანგეთის რევოლიუცია და ნაპოლეონ I და III. ვის შეუძლიან სთქვას, რომ ეხლანდელს რესპუბლიკასაც არ გამოიწვევს საბრძოლად? ერთხელ კიდეც აპირობდა ამას, მაგრამ ინგლისმა და რუსეთმა შეაფერხეს იგი.

---

ვერ ვუსრულებთ როგორღაც მკითხველს დანაპირებს. დავპირდით მხიარულის ამბების მბობას და სხვაგან კი გადვუხვიეთ. მაშ ეხლა მაინც ვეცდებით, რაც დავპირდით, ნახევრად აღვუსრულოთ; თუ მხიარული არა, სასარგებლო რამ მაინც ვუამბოთ:

თბილისის მეორე გიმნაზიის მთავრობას განუზრახავს დიალ სანაქებო საქმე: ორ თვეში ერთხელ მიიწვიოს მშობლები და ნათესავები ბავშვებისა, მათთან ერთად განსაჯოს შეგირდების სხვა-და-სხვა საჭიროებაზედ და ზოგიერთი პედაგოგიური საგნები შეიმუშაოს. ერთი ამ გვარი კრებათაგანი 20 ნოემბერს მოხდა და ფრიად მძიმე საქმეებზედაც იყო სჯა. აი სხვათა შორის რა განსაჯეს: გიმნაზიის უფროსმა მოახსენა შეგირდების ნათესავებს, რომ ბევრს გიმნაზიელს ფორმის პალტო არა აქვს და უბრალო პალტოებში დადიანო, ეს დიდი წინააღმდეგიაო, თუ ფორმის პალტოებს არ იყიდით, იძულებული ვიქნებით თქვენი შვილები სასწავლებლიდამ დავითხოვოთო. მეორე უფრო მძიმე საგანი ეს არის: შეგირდებისათვის ბილეთები დაურიგებიათ, რომელნიც ყოველთვის თან უნდა დაჰქონდეთ, შინიდამ რომ გამოდიან. ბევრნი თურმე ამ ბილეთებს ჰკარგვენ და გიმნაზიის მთავრობა ურჩევს, რომ კვლავ აღარ დაჰკარგონ ბილეთები, შეგირდებმა ბლუზას ან მუნდირს პატარა უბე მიაკერონ განსაკუთრებით ბილეთისათვის. მესამე საგანი კიდევ არა ნაკლებ შესანიშნავის ის არის, რომ წვერ-ულვაშიანმა შეგირდებმა წვერ-ულვაში უეჭველად იპარსონ და არც გძელი თმა ატარონ, თორემ თმას ჭკუა არა აქვს და შეიძლება ყმაწვილები გააუბედუროს და გიმნაზიიდამ გამოარეკინოს.

ამ კრებაზე აშკარად დამტკიცდა, თუ როგორა ზრუნავს გიმნაზიის მთავრობა პედაგოგიის განვითარებისათვის ჩვენში და როგორის საქებურის გულ-მოდგინებით და ხალისით იწვევს საზოგადოებას მასთან ერთად ამ დიალ მძიმე ტვირთის საზიდავად.

***

განძოუნგ, ბაკნინ, ხანკოუ, გონკონგ... აი რა სახელებს ამოიკითხავთ ყოველ დღე ყოველგვარ გაზეთებში. ჩინეთი, ძველებურად ჩვენში ხატაეთად წოდებული, ადგას ეხლა ყველას ენაზედ და თუ ყურის მიწაზედ დადებით ვერას გავიგებთ ამბავს იმ ომისას, რომელიც ეხლა ტონკინში დუღს, ტელეგრაფის აპარატით ხომ მაინც არ გაგვიჭირდება.

ევროპის დიპლომატებს და ჟურნალ-გაზეთებს ვერაფერი გაუგიათ,—კანონიერი ომი დაიწყო თუ არა, თუმცა სისხლი უხვად ილვრება და ყუმბარები და ტყვიები ჰაერში დაწივარდობენ. ევროპაში ვერა გაუგიათ-რა იმიტომ... იმიტომ რომ... «ვეფხის ტყაოსანი» არ წაუკითხავთ; მაგრამ მე კი კარგად მესმის, რადგან ფრანცუზებსა და ჩინელებს შუა ომი თვალ-ნათლივ მიხატავს ტარიელის ხატაველთზედ გალაშკრებას. შეადარეთ ინდოეთი საფრანგეთს, დიპლომატიაში გამოჭახრაკებული ბისმარკი—ნესტარ-დარეჯანს, მარკიზი ძენგი-რამაზ მეფეს და ყოველისფერი ცხადი იქნება. როგორც ნესტარ-დარეჯანმა ტარიელ საომრად წააქეზა ამ სიტყვებით: «წა შეები ხატაველთა, თავი კარგად გამაჩვენე», ისე ბისმარკმა საფრანგეთის ლაშკარი მხოლოდ სრულიად სხვა ცბიერის განზრახვით ტონკინისკენ გაისტუმრა: როგორც მარკიზი ძენგი მლიქვნის ენით ხან მშვიდობიანობასა ჰქადაგებს, ხან ომს ემუქრება, ხან გამოცანაებით ლაპარაკობს, ისე ხატაველნი ხან იმუქრებიან:

«ამის მეტსა ნუღარ ჰნახავ
გვლავლა წიგნსა შენ მიერსა»

ხან ამ გვარ გამოცანით ლაპარაკობენ, რომელზედაც კომენტატორები თავებს იმტვრევენ: «ჩვენთა მგელთაცა დასჭამენ თქვენი ინდოთა თხანია», ხან ტარიელს ფეხ-ქვეშ ეგებიან და შეწყალებას ითხოვენ; თუმცა ამ დროს ჩასაფრებული მათი ჯარი ინდოთა ჯარს თავდასასხმელად ელის.

რუსთველს ერთი დიდი ღირსება კიდევ გამოაჩნდა, რომელიც დღემდის დაფარული იყო. ის არამცთუ კალმის სულთ-მბერავი და საზოგადოდ კაცის გულთა-მხილავი ყოფილა, დიპლომატების გული, თვით ჩინელ დიპლომატებისაც კი წინ გადაშლილი ჰქონია და მათი საიდუმლოება თავის გამჭრიახის თვალით ამოუკითხავა.

თუ ჩვენმა შედარებამ ბოლომდის გასტანა, ფრანცუზებს დიდი გამარჯვება მოელით ჩინელებზედ და თავს კარგად გაახვენებენ თავიანთ ნესტარ-დარეჯანს, რესპუბლიკის წარმომადგენელს მშვენიერს ქალს და არა იმ ნესტარ-დარეჯანს, რომელსაც მელოტს თავზედ სამი ბალნის მეტი არა დარჩენია-რა.

«ნუ დაივიწყებთ, რომ შამპანიის ვაკეებზედ მდებარებს ერთი ქალაქი, რომელიც სახელს დასდებს იმ გამარჯვებას, რომელიც გამოისყიდის საფრანგეთის სედანთან დამარცხებას».

— მომავალი წლის 2 აპრილს აკურთხებენ ქ. პავორში ძეგლს, რომელსაც ზამბეტას უგებენ.

— ერთი პაპის მომხრე ფრანცუზული გაზეთი ძალიან განურისხებია საფრანგეთის დეპუტატთა პალატის გარდაწყვეტილებას, რომლითაც პარიჟის არხიეპისკოპს და სასულიერო სემინარიებს ჯამაგირი მოესპოთ. ეს გაზეთი ამბობს, რომ უუწმიდესი ტახტი აქამდინ ცდილობდა მშვიდობიანად ყოფილიყო საფრანგეთთან იმ აზრით, რომ იგი ავად-მყობად მიაჩნდა და იმედი ჰქონდა, რომ მალე მორჩებოდაო. მაგრამ თუ პალატა იმ გზაზე ივლის, რა გზაზედაც აყენებენ მას პოლ ბერი და ჟიულ როში, მაშინ პაპა აღარ მოითმენს. კატოლიკე ეკლესია ილდის, მაგრამ უარს კი არა ჰყოფს თავის უფლებებსაო.

— ვენგრიიდამ იწერებიან გაზეთებში, რომ იქაურმა დეპუტატთა პალატამ მიიღო კანონი შესახებ ქრისტიანების და ებრაელების ურთიერთ შორის შექორწინებისა.

## განცხადებანი

დღესთვის დანიშნული კონცერტი მუსიკალურ ზალაში ღარიბ ქართველ მოსწავლეთა სასარგებლოდ გადიდვა 4 დეკემბრისათვის. (1—1)

### თბილისის ქალაქის გამგეობაში

30 ნოემბერს იქნება ვაჭრობა 220 ოთხ-კუთხი საჟენის ნამტვრევის ქვის (щебень) და 140 ოთხ-კუთხი საჟენი ქვიშის (гравій) იჯარით აღებაზე, და ამისათვის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რათა მსურველნი ამ იჯარის აღებისა გამოცხადდნენ ვაჭრობაზე დანიშნულს დღეს, დილის 11 საათზე; კანდიცების ნახვა შეიძლება გამგეობაში ყოველ-დღე დილის ათი საათიდამ ნაშუადღევის ორ საათამდინ. (3—2)

### «იტალიის» ბაღში

დღეს, 27 ნოემბერს 1883 წ.

იქნება

## ჭიდილი

გამოჩენილი ფალევანისა «ქარაფქანდოლასი» და გათქმული მარტყოფელი მემცხვარე «გელასი» და სხვების.

ჭიდილი დაიწყობა საათის 2-სა სადილს შემდეგ. (1—1)

### ოპერატორს, მედიცინის დოქტორს

## ქიუზარიანცს

აქვს ბაღის ქუჩაზედ (Садовая ул.) განსაკუთრებული სამუდამო სადგური ავად-მყოფებისათვის, რომელთაც სიფილისი სჭირთ, ან შარდისა და საშვილოსნო ორგანოები სტკივათ, ან კიდევ ხირურგიული ოპერაციები ეჭირვებათ. (14—9)

30 ამა ნოემბერს თბილისის სამართლ-მადიდებელი სასულიერო სემინარიაში, შემდეგ საღმთო წირვისა, რომელიც აღსრულებულ იქმნება უსამღვდელოესის საქართველოს ექსარხოსის მიერ, მოხდება საზოგადო კრება წევრთა «ძმობისა შემწევნელისა ღარიბთა მოსწავლეთა სემინარიისათა» (братство вспомоществованія бѣднымъ воспитанникамъ семинаріи). კომიტეტი ძმობისა მოიწვევს ქველ-მოქმედთა და სასულიერო განათლების მოყვარეთა პატივი სცენ კრებასა ამას თვისის თანადასწრებითა. (2—1)

## ქუთაისის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკისა.

ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ, ამ ბანკის წესდების მე 18 § ძალით, 29 დეკემბერს ამა 1883 წლისა, დილის 12-ს საათზე, ქ. თბილისს, თბილისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის სადგომზე (სოლოლაკის ქუჩა, თ. გრუზინსკის სახლები № 13), საზოგადო ვაჭრობით გასყიდულ-იქმნებიან დაგირავებულნი ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკში უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა, რადგანაც მათ წესდებისამებრ ბანკის სასესხო გადასახადი არ შეუტანიათ.

გასყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულთა, რომელთა მეპატრონენი, თანახმად მე 19 § იმავე წესდებისა, შეავსებენ ბანკის სასესხო გადასახადს და თან განცხადებათა ხარჯებს.

ვაჭრობა დაიწყება ქვემო აღნიშნულის ვალებით ზედ დამატებით შეუვსებელთა გადასახადთა, მამულის გასასყიდლად დანიშვნის ხარჯებისა და, საზოგადოდ, ყველა იმ ფულებისა, რომელიც ბანკს თვისის მოვალის მაგივრად დაუხარჯავს.

გრძელ ვადიანნი თავნი ვალები ბანკისა შეიძლება მოსპობილ იქმნენ ამ ბანკის გირავოს ფურცლებით სახელდობრივის ფასისამებრ — მანეთი მანეთად, და აგრეთვე შეიძლება გადატანილ იქმნენ მყიდველებზე; ხოლო ვადაზე გადასახადი და სხვა შეუვსებელი ფულები (ნედოიმკა) უნდა მოსპობილ იქმნენ ნაღდი ფულით.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთა შეუძლიათ განიხილონ ბანკის სამმართველოში შეფასებითი აღწერილობა და სხვა საბუთები გასასყიდელთა მამულთა.

თუ ეს ვაჭრობა არ შესდგა, მაშინ, თანახმად ბანკის წესდების მე 24 §-ისა, ინიშნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა 1884 წლის იანვრის 17 რიცხვისათვის.

### $18^7/_{12}$ წლიანნი სესხნი.

#### ქ. თბილისს.

მელიქოვისა, ანნა ივანეს ასულის, მოქალაქისა: 1 განყოფილებაში, 2 ნაწილში, ბაღის ქუჩაზე, სამ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, ფლიგელი და მიწა, 204 კვადრ. საჟ.; თავნი 25998 მან. 45 კაპ., შესავს. გადასახადი 1808 მან. 82 კაპ. სულ 27807 მან. 27 კაპ.

მემკვიდრეთა მირზოევისა, ივანე მინას-ძის, კოლლეჟსკი ასესორისა: 1 განყოფილებაში, 3 ნაწილში, მიხაილის ხიდზე ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და ქვითკირის დუქნები და მიწა, 758 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 103993 მან. 77 კაპ. შესავს. გადასახადი 6369 მან. 51 კაპ. სულ 110363 მან. 28 კაპ.

მათივე: 1 განყოფილებაში, 3 ნაწილში, მიხაილის ხიდზე, ქვითკირის დუქნები და მიწა, 1259 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 112650 მან. 95 კაპ., შესავს. გადასახ. 6899 მან. 52 კაპ. სულ 119559 მან. 47 კაპ.

მათივე: 1 განყოფილებაში, 3 ნაწილში, მიხაილის ხიდზე, სამ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, მაღაზიები და მიწა, $243^1/_2$ კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 112659 მან. 95 კაპ., შესავს. გადასახადი 6899 მან. 52 კაპ. სულ 119559 მან. 47 კაპ.

ბელოისა, ევგენი ტიმოთეს-ძის კოლლეჟსკი ასესორისა: 1 განყოფილებაში, 3 ნაწილში, გოლოვინის პროსპექტზე სამ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი მაღაზიებით და მიწა, 118 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 52460 მან. 69 კაპ., შესავს. გადასახადი 4079 მან. 98 კაპ. სულ 56540 მან. 67 კაპ.

ბარათაშვილისა, ნინო ალექსანდრეს ასულის, თავადისა: 1 განყოფილებაში, 11 ნაწილში, ახალ ბებუთოვის და კონსულის ქუჩებზე ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 108 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 20247 მან. 98 კაპ., შესავს. გადასახადი 1748 მან. 54 კაპ. სულ 21996 მან. 52 კაპ.

ბაბაევისა, დავით ვასილის-ძის, მოქალაქისა: 2 განყოფილებაში, 11 ნაწილში, ორი ქვითკირის ორ-ეტაჟიან სახლები, მაღაზიები და მიწა, 183 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 20247 მან. 98 კაპ., შესავს. გადასახადი 1364 მან. 21 კაპ., სულ 21612 მან. 19 კაპ.

ბეჟანბეკოვისა, ალექსანდრა თომას ასულის, ტიტულიარნი სოვეტნიკის ქვრივისა: 1 განყოფილებაში, 1 ნაწილში, ჭავჭავაძის ქუჩაზე ორი ქვითკირის ორ-ეტაჟიანი სახლები, ფლიგელითურთ, და მიწა, 335 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 34256 მან. 01 კაპ., შესავს. გადასახადი 3227 მან. 49 კაპ. სულ 37483 მან. 50 კაპ.

გუსიკოვისა, ივანე სერგია-ძის, მოქალაქისა: 1 განყოფილებაში, 5 ნაწილში, ქუჩაზე, რომელიც მოდის ერევნის მოედნიდან სოლდათის ბაზრისაკენ, ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლები, მაღაზიები და მიწა, 192 კვ. საჟ.; თავნი ვალი 69027 მან. 22 კაპ., შესავს. გადასახადი 6340 მან. 73 კაპ. სულ 75367 მან. 95 კაპ.

ლიპინსკისა, რომუალდ-ალექსანდრე ფრანციის-ძისა, კოლლეჟსკი ასესორისა: 2 განყოფილებაში, 2 ნაწილში, ელისაბედის ქუჩაზე. ორი ქვითკირის ერთ-ეტაჟიანი სახლები, ფლიგელებითურთ, და მიწა, 527 კვ. საჟ.; თავნი ვალი 11044 მან. 36 კაპ., შესავს. გადასახადი 812 მან. 25 კაპ. სულ 11856 მან. 61 კაპ.

სტეპურენკოისა, პელაგია კონდრატის ასულის, გადამდგარის მაიორის მეუღლისა: 1 განყოფილებაში, 1 ვერიის ნაწილში, უსახელო ქუჩაზე, ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 350 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 12,169 მან. 05 კაპ., შესავს. გადასახადი 629 მან. 26 კაპ. სულ 12,798 მან. 31 კაპ.

შირიაევისა, ივანე მიხაილის-ძის, მოქალაქისა: მე-2 განყოფილებაში, მე-8 ნაწილში, ჩუღურეთში, ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 149 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 12,885 მან. 09 კაპ., შესავს. გადასახადი 1202 მან. 53 კაპ. სულ 14,087 მ. 62 კ.

ქონიევისა, გრიგორი ბეჟანის-ძის, მოქალაქისა: 1 განყოფილებაში, 1 ნაწილში, ოლგას ქუჩაზე, ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, მაღაზიები და მიწა, 300 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 16,870 მან. 42 კაპ., შესავსებ. გადასახადი 1082 მ. 52 კ. სულ 17,952 მ. 95 კ.

იოსელიანისა, ივანე სოფრომის-ძის, პოდპოლკოვნიკისა: 2 განყოფილებაში, 10 ნაწილში, ელისაბედის ქუჩაზე, ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი მეზონინებით, ბაღი და მიწა, 221251 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 28609 მან. 10 კაპ.; შესავს. გადასახადი 1534 მან. 50 კაპ. სულ 30143 მან. 60 კაპ.

#### თბილისის გუბერნიის მისივე მაზრისა.

### $43^1/_2$ წლიანნი სესხნი.

მაღალოვისა, დავით იოსების-ძის, პოლკოვნიკისა: თელოვნის აგარს სახნავ-სათესი, საძოვარი და ტყე, 141 დესიატ. 1720 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1967 მან. 68 კაპ. შესავს. გადასახადი 158 მან. 27 კაპ. სულ 2125 მან. 95 კაპ.

მაღალოვისა, სოფიო იოსების ასულის, კოლლეჟსკი რეგისტრატორის ქვრივისა: თელოვნის აგარს სახნავ-სათესი, საძოვარი და ტყე, 153 დესიატ. 440 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2960 მან. 16 კაპ., შესავს. გადასახადი 233 მან. 60 კაპ. სულ 3193 მან. 76 კაპ. (3—1)

Дозв. цензур. Тифлисъ, 26 Ноября 1883 г. ექ. ხელაძის სტამბა (Типографія Е. Хеладзе). გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.